ოქმი №10

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2025 წლის 22 ოქტომბერს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – გ. წურწუმია, ლ. ჯინორია, ბ. კალანდარიშვილი, ბ. შარტავა, ზ. ყურაშვილი, ე. ოდიშარია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – გ. წურწუმია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მ/წლის 16 სექტემბერს სენეკის რესურსცენტრიდან შემოსული განცხადების: 1152195 (სარეგისტრაციო 04-41252592-41) განხილვის თაობაზე, სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 6; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მ/წლის 16 სექტემბერს სენეკის რესურსცენტრიდან შემოსული განცხადების: 1152195 (სარეგისტრაციო 04-41252592-41) განხილვის თაობაზე, სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მ/წლის 16 სექტემბერს შემოსული განცხადება 1152195 (სარეგისტრაციო 04-41252592-41) სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების თაობაზე.

ასევე გააცნო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის ბრძანება №194 ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის: სკოლას შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ: ,,დ“ ქვეპუნქტი: ქართული კულტურის, ხელოვნების, ენის, მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტის განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საერო ან სასულიერო პირის სახელი, რომლის გარდაცვალების დღიდან გასულია სულ მცირე 20 წელი.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის ბრძანება №194 ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე უარი ეთქვას სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარე: გიგა წურწუმია